ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3840746

ნომერი: AR1573108

თარიღი : 26.01.2018

გაცემის თარიღი : 26.02.2018

გაცნობის თარიღი : 26.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) N37;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე აბულაძე პ/ნ 62001003516
- თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. #17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 ოქტომბრის №2911013 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 26

იანვარს №AR1573108 განცხადებით მომართეს ალექსანდრე აბულაძემ და შალვა ჩიტიშვილმა და მოითხოვეს ამავე სამსახურის 2016 წლის 31 ოქტომბრის №2911013 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 ოქტომბრის №2911013 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), ამაღლების (ყოფ. დავითაშვილის) ქ. N37–ში, შპს "თბილისის ხედი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 1 ნოემბრიდან 2017 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით. ხოლო, სამსახურის 2017 წლის 13 თებერვლის №3089430 გადაწყვეტილებით გაიცა დასკვნა განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების შესახებ.
ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2017 წლის 02 მარტის №ბ–19/01170541415-17 ბრძანებით ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა ქ. თბილისში, ამაღლების (ყოფილი) დავითაშვილის) ქუჩა №37-ში (ს.კ:01.15.05.089.008) მშენებლობა დამთავრებული ობიექტი (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი).
განმცხადებლების განმარტებით, პროექტის შეთანხმების სტადიაზე განმცხადებლის მიერ არასწორად იქნა მითითებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის 2016 წლის 31 ოქტომბრის №2911013 ბრძანებაში. აქედან გამომდინარე, ითხოვს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გასწორებას და შეთანხმებული გეგმების, წინამდებარე განაცხადით წარმოდგენილი გეგმებით ჩანაცვლებას.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შესაბამისობაშია სამსახურის 2016 წლის 31 ოქტომბრის №2911013 ბრძანებასთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 ოქტომბრის №2911013 ბრძანებაში და ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი: 1153.71 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი: 588.43 კვ.მ, კომერციული ფართობი: 145.39 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 61.41 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 106.92 კვ.მ, სარდაფის ფართობი: 235.26 კვ.მ. ასევე სამსახურის 2016 წლის 31 ოქტომბრის №2911013 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით. სამსახურის 2016 წლის 31 ოქტომბრის №2911013 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 31 ოქტომბრის №2911013 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.